Enhanced Cooperation for Secure Borders and Safe Migration

მეტი თანამშრომლობა დაცული საზღვრებისა და უსაფრთხო მიგრაციის მხარდასაჭერად

Issue | გამოცემა #3
June | ივნისი 2016

A project funded by European Union's Eastern Partnership Integration and Cooperation Programme
დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში

IN THIS ISSUE
ამ გამოცემაში

Document Security and Fraud
დაცული დოკუმენტები და გაყალბება

Cooperation between Georgia and Turkey on Migration Management | საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა მიგრაციის მართვის სფეროში

Irregular Migration: Training Course on Smuggling of Migrants | უკანონო მიგრაცია: სასწავლო კურსი საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ

Study Visit to France for Forensic Document Examiners
დოკუმენტების ექსპერტების სასწავლო ვიზიტი საფრანგეთში

What is the Impact of IOM's Reintegration Assistance Programme?
მიგრანტთა დახმარების პროგრამის შეფასება

Focus on the IOM Mobility Centre in Kutaisi
IOM-ის მობილურობის ცენტრი ქუთაისში

Safe Migration | უსაფრთხო მიგრაცია

Introduction

The International Organization for Migration (IOM) has now completed two and a half years of implementation of the EU-funded project "Reinforcing the Capacities of the Government of Georgia in Border and Migration Management" (More for More). The primary goal of the project is to assist the Georgian authorities in implementing the Visa Liberalization Action Plan (VLAP) and in dealing with the challenges posed by the management of border and migration flows. Following confirmation that Georgia successfully met the benchmarks under the VLAP and the ensuing official endorsements by the EU, preparations are now underway for Georgian citizens with biometric passports to be able to travel visa-free to the Schengen area for visits of up to 90 days. The significant achievements in meeting the benchmarks must also be viewed alongside the continuing efforts under the More for More project to improve border and migration management in Georgia.

შესავალი

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) უკვე ორ წელზე მეტია ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს "საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრის და მიგრაციის მართვის მიმართულებით" (მეტი მეტისათვის). პროექტის მთავარი მიზანია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და საზღვრისა და მიგრაციის ნაკადების მართვის სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა. ევროკავშირმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ საქართველომ წარმატებით შეასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნები. ამ ეტაპზე საქართველო იმყოფება მოსამზადებელ ფაზაში, რის შემდეგაც ბიომეტრიული პასპორტის მქონე მოქალაქეებს ექნებათ უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა შენგენის სივრცეში 90 დღემდე ვიზიტის განხორციელების მიზნით. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების წარმატებით დაკმაყოფილებაში გარკვეული წვლილი შეიტანა "მეტი მეტისათვის" პროექტის ფარგლებში საზღვრისა და მიგრაციის მართვის სფეროში გაწეულმა ძალისხმევამ.

This project is funded by the European Union
პროექტს აფინანსებს ევროკავშირი

This project is implemented by IOM
პროექტს ახორციელებს IOM

The views expressed in this publication do not necessarily reflect the views of the European Commission
ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს ევროკომისიის დამოკიდებულებას

IOM • OIM

Document Security and Fraud

The More for More project has continued to support the enhancement of the skills of frontline and secondary-level officers in identity document examination. In September 2015 experts from the Dutch Immigration & Naturalisation Service of the Ministry of Security and Justice conducted training in Tbilisi and in the process identified a core group of Georgian Patrol Police officers to undertake more in -depth training in the Netherlands. The training in Amsterdam took place in November 2015 and included topics such as digital printing techniques. The goal of the training was to create a cadre of officers with advanced expertise at all Georgian border checkpoints who would take responsibility for training colleagues and producing alerts highlighting the latest trends in document abuse in their respective locations.

დაცული დოკუმენტები და გაყალბება

“მეტი მეტისათვის” პროექტი აგრძელებს მოწინავე და უკანა ხაზის ოფიცრების უნარების გაძლიერებას საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შემოწმების სფეროში. 2015 წლის სექტემბერში ნიდერლანდების უსაფრთხოებისა და იუსტიციის სამინისტროს იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგი თბილისში და გამოავლინეს საქართველოს საპატრულო პოლიციის ოფიცრების ძირითადი ჯგუფი, რომლებმაც უფრო სიღრმისეული ტრენინგი ნიდერლანდებში გაიარეს.

აღნიშნული ტრენინგი ამსტერდამში 2015 წლის ნოემბერში ჩატარდა და მოიცვა ისეთი თემები, როგორიცაა ციფრული ბეჭდვის ტექნიკა. ტრენინგის მიზანი იყო საქართველოს ყველა სასაზღვრო-გამტარ პუნქტზე ექსპერტი ოფიცრების კადრის შექმნა, რომლებიც გადაამზადებენ კოლეგებს და მოამზადებენ გამაფრთხილებელ შეტყობინებებს შესაბამის გამტარ პუნქტებზე დოკუმენტების გაყალბების უახლესი ტენდენციების შესახებ.

Eric Geestman from the Immigration and Naturalisation Service of the Dutch Ministry of Security and Justice | ერიკ ხეესტმანი, ნიდერლანდების უსაფრთხოებისა და იუსტიციის სამინისტროს იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური

Expert Profile - Karol Turzyński

IOM identified Karol Turzyński to assist the Georgian authorities in establishing a Risk Analysis Unit at the headquarters of the Ministry of Internal Affairs. With in-depth knowledge of Frontex’s Common Integrated Risk Analysis Model (CIRAM) Mr. Turzyński has experience of the model in his home country of Poland and in assisting other countries such as Turkey to develop risk analysis capacity. Mr. Turzyński has made three visits to Georgia consisting of an initial assessment visit before proceeding to assist with planning and training.

ექსპერტის პროფილი - კაროლ ტურზინსკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სათაო ოფისში რისკის ანალიზის განყოფილების ჩამოყალიბების პროცესის ხელშესაწობად IOM-მა მოიწვია კაროლ ტურზინსკი. მას აქვს ფრონტექსის ერთიანი ინტეგრირებული რისკის ანალიზის მოდელთან (CIRAM) მუშაობის დიდი გამოცდილება მის სამშობლოში, პოლონეთში და ასევე აღნიშნული მოდელის გამოყენებით რისკის ანალიზის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების გამოცდილება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი. ბატონი ტურზინსკი სამჯერ ეწვია საქართველოს; დაგეგმვის და ტრენინგების პროცესამდე პირველი ვიზიტის ფარგლებში მან ჩაატარა არსებული სიტუაციის პირველადი შეფასება.

Cooperation between Georgia and Turkey on Migration Management

In February 2016, IOM organized in Tbilisi a meeting between Georgian and Turkish authorities to discuss issues of concern in bilateral cooperation on migration management. The two sides discussed the fight against trafficking in human beings, building on the cooperation established since the signing of the Bilateral Protocol in 2005. The Georgian Ministry of Internal Affairs presented updates on its current policies of dealing with irregular migration and smuggling of migrants since the entry into force in September 2014 of the Law on the Legal Status of Foreigners and Stateless Persons.

In the context of Georgian cooperation with the EU on the readmission of irregular migrants, the Turkish side expressed interest in the Electronic Readmission Management System that Georgia has been operating with its partners in EU Member states since January 2014. The Electronic Readmission Management System was developed between 2011 and 2014 in cooperation between the Georgian authorities and IOM, thanks to two previous EU-funded projects.

საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა მიგრაციის მართვის სფეროში

2016 წლის თებერვალში IOM-მა ორგანიზება გაუკეთა შეხვედრას, სადაც საქართველოს და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განიხილეს მიგრაციის მართვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები.

2005 წელს ხელმოწერილი ორმხრივი თანამშრომლობის ოქმის საფუძველზე მხარეებს შორის შედგა დისკუსია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ისაუბრა 2014 წლის სექტემბერში, საქართველოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ უკანონო მიგრაციისა და საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის სფეროში განხორციელებული სიახლეების შესახებ.

უკანონო მიგრანტთა რეადმისიის კუთხით საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის კონტექსტში თურქეთის მხარემ გამოთქვა ინტერესი რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემის მიმართ, რომელსაც საქართველო მის პარტნიორ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ერთად 2014 წლის იანვრიდან იყენებს. რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემა 2011 – 2014 წლებში საქართველოს მთავრობამ IOM-ის მხარდაჭერით და ევროკავშირის დაფინანსებით განავითარა.

Irregular Migration: Training Course on Smuggling of Migrants

In the latter part of 2015 Georgia witnessed a spike in irregular movements by migrants across its border with Turkey. Attempted crossings were facilitated by unscrupulous migrant smugglers and even resulted in deaths due to the hostile terrain and temperatures. The most conspicuous migrants in terms of numbers and by nationality were from Bangladesh and Somalia, with government data indicating that significant unofficial departures from Georgia had taken place. The More for More project is supporting the EU's investment of 3.2 million Euros in upgrading the border surveillance apparatus at the Georgia-Turkey green border but also supports Georgia in pursuing those profiting from migrant smuggling.

Regular training courses have taken place throughout the project's implementation, bringing together the relevant government actors to work on more effective pursuit and conviction of organized migrant smugglers. The most recent of these took place in Batumi in March 2016 and focused specifically on more effective investigation of migrant smugglers. The training course included Prosecutors, Border Police, Patrol Police and Revenue Service (Customs).

უკანონო მიგრაცია: სასწავლო კურსი საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ

2015 წლის მეორე ნახევარში საქართველო - თურქეთის საზღვარზე საგრძნობლად იმატა იმ მიგრანტთა რაოდენობამ, რომლებიც საზღვარზე უკანონოდ გადაადგილდებიან. საზღვრის გადაკვეთის მცდელობებს ხელი შეუწყეს მიგრანტთა უკანონო გადამყვანებმა, რაც გარკვეულ შემთხვევებში, მკაცრი გეოგრაფიული რელიეფის და კლიმატის გამო მიგრანტთა დაღუპვით დასრულდა. საქართველოს მთავრობის მონაცემების მიხედვით საქართველოდან საზღვრის უკანონო კვეთის მხრივ ყველაზე თვალსაჩინოა ბანგლადეშელი და სომალელი მიგრანტების დიდი რაოდენობა. "მეტი მეტისათვის" პროექტი ევროკავშირის მიერ ინვესტირებულ 3.2 მილიონ ევროს იყენებს საქართველო - თურქეთის საზღვარზე სამეთვალყურეო აპარატურის გასაახლებლად და ამავდროულად მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას საზღვარზე უკანონო გადამყვანთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

Participants at the Batumi training in March 2016 | ბათუმის ტრენინგის მონაწილეები, 2016 წლის მარტი

პროექტის მანძილზე ჩატარდა ტრენინგები, რომელთა მიზანი იყო შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება უკანონო გადამყვანთა ორგანიზებული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულ სფეროში ტრენინგი ბოლოს ჩატარდა 2016 წლის მარტში, ქალაქ ბათუმში; ტრენინგმა, რომელსაც ესწრებოდნენ პროკურორები, სასაზღვრო და საპატრულო პოლიციის და შემოსავლების სამსახურის (საბაჟო სამსახურის) თანამშრომლები, მოიცვა კონკრეტულად საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადამყვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტური გამოძიების თემატიკა.

Study Visit to France for Forensic Document Examiners

დოკუმენტის ექსპერტების სასწავლო ვიზიტი საფრანგეთში

Under the EU-funded project "Reinforcing the Capacities of the Government of Georgia in Border and Migration Management" IOM organized a study visit to France from 17-19 May 2016 for six forensic document examiners from the Forensic-Criminalistic Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Although possessing established expertise in document examination the experts had never previously had exposure to the factory production of secure documents such as passports and the production of security paper used in banknotes. The French company Oberthur hosted visits to two of its production facilities in Brittany as well as providing information concerning security features in paper and plastic at its Paris headquarters. Additionally the French embassy in Tbilisi facilitated a visit to observe the extensive challenges faced by the French authorities dealing with fraudulent documents at Paris Charles de Gaulle Airport. Mr. Giorgi Beridze, Quality Assurance Manager at the the Forensic-Criminalistic Department, commented that the visit provided "extremely valuable additional knowledge to add to the section's existing expertise".

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრის და მიგრაციის მართვის მიმართულებით" ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ 2016 წლის 17 – 19 მაისს ორგანიზება გაუკეთა სასწავლო ვიზიტს საფრანგეთში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დოკუმენტის ექვსი ექსპერტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებს დოკუმენტების შემოწმების დიდი გამოცდილება აქვთ, ისინი პირველად ეწვიენ ქარხანას, სადაც მზადდება დაცული დოკუმენტები, როგორიცაა პასპორტი და გაეცნენ ბანკნოტებში გამოყენებული დაცული ქაღალდის წარმოების ტექნიკას. ფრანგულმა კომპანია ობერტურმა უმასპინძლა ვიზიტს მის ორ ობიექტში ბრეტანში და კომპანიის სათაო ოფისში, პარიზში, ექსპერტებს გაუზიარა ინფორმაცია დაცული ქაღალდის და პლასტმასის მახასიათებლების შესახებ. ამასთან, საქართველოს საელჩომ საფრანგეთში დაგეგმა ვიზიტი პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტში, სადაც საქართველოს დელეგაცია გაეცნო იმ გამოწვევებს, რომლებსაც საფრანგეთის ხელისუფლება უმკლავდება ყალბი დოკუმენტების კუთხით. საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა, ბატონმა გიორგი ბერიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტმა დეპარტამენტისთვის უზრუნველყო მეტად მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია.

What is the Impact of IOM's Reintegration Assistance Programme?

The four Mobility Centres operated by IOM in Georgia offer support to returned migrants for their sustainable reintegration, in such areas as small business development, medical treatment, livelihood security and professional development. Since the beginning of the More for More project, up to 3000 Georgians returning from 41 countries around the world have addressed the Mobility Centres. Among them, 962 people satisfied the eligibility criteria and were registered as project beneficiaries. Sixty five per cent of the registered beneficiaries received miscellaneous assistance: 205 people received business grants, 85 beneficiaries got funding for medical treatment, rent for temporary housing was paid for 34 individuals and 192 people qualified for livelihood assistance to improve their living conditions. Sixty two people received funding for vocational training courses and professional tools were purchased to support employment of 132 beneficiaries. Systematic monitoring is conducted by the Mobility Centres in order to evaluate the efficiency of the assistance provided. Preliminary monitoring results indicate that over 74 per cent of all supported businesses are successful, whereas 12 per cent can be classified as partially successful. In respect of vocational education courses – 71 per cent of the beneficiaries managed to successfully complete the courses that were funded under the project with 13 per cent not fully successful. In terms of medical assistance, 84 per cent of the beneficiaries were satisfied with the services provided. The majority (86 per cent) of the beneficiaries who received assistance to improve their daily living conditions rated this support as beneficial. More than 75 per cent of those returnees who purchased professional equipment with EU support managed to successfully utilize them in their economic activities. Somewhat less successful cases were found in the area of direct employment assistance. More than half of the beneficiaries could not be placed in employment, mainly due to low qualifications of returnees and prevailing unemployment levels in Georgia.

A returnee from Cyprus, who came back to Georgia after 6 years abroad, received a business grant and started a small second-hand shop

მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის შეფასება

IOM-ის მობილურობის ცენტრები საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის სარეინტეგრაციო მხარდაჭერას: მცირე ბიზნესის დაფინასება, სამედიცინო დახმარება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, პროფესიული უნარების განვითარება და სხვ. განვლილ პერიოდში მობილურობის ცენტრებს მომართა მსოფლიოს 41 ქვეყნიდან დაბრუნებულმა 3000-მდე მიგრანტმა. მათგან 962-მა დააკმაყოფილა მეტი მეტისათვის პროექტში მონაწილეობისათვის დადგენილი კრიტერიუმები და გახდა პროექტის ბენეფიციარი. რეგისტრირებული ბენეფიციარების 65%-ს მიღებული აქვს გარკვეული სახის დახმარება: 205 ბენეფიციარს მიღებული აქვს ბიზნეს-გრანტი, 85-ს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურება, 34 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნა დროებითი საცხოვრებლით, 192-ს - გაუუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები, 62-ს დაუფინანსდა პროფესიული სწავლება, 132 ბენეფიციარისათვის დასაქმებაში დახმარებისათვის შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის ხელსაწყოები. პროგრამის ფარგლებში გაწეული დახმარების ეფექტიანობის შესაფასებლად სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი. მონიტორინგის წინასწარი შედეგებით პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილი ბიზნესის 74% წარმატებულია, 12% კი - ნაწილობრივ წარმატებული. პროფესიული სწავლების შემთხვევებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 71% და 13%-ია; სამედიცინო დახმარებისას 84%; საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გაწეული დახმარებისას - 86%; ხელსაწყოების შეძენისას - ბენეფიციარების 75%-ზე მეტი წარმატებით ახერხებს დახმარების გამოყენებას. შედარებით დაბალია წარმატების შემთხვევები დასაქმებაში დახმარებისას - ბენეფიციარების ნახევარზე მეტის დასაქმება ვერ მოხერხდა, რაც ბენეფიციართა დაბალი კვალიფიკაციითა და საქართველოში დასაქმების სფეროში არსებული სირთულეებით არის განპირობებული.

კვიპროსიდან დაბრუნებულმა მიგრანტმა, რომელიც საზღვარგარეთ 6 წელი იმყოფებოდა, მიიღო ბიზნეს გრანტი მეორადი ტანსაცმლით ვაჭრობის ბიზნესის წამოსაწყებად

In their feedback, beneficiaries stated that assistance received under the project helped them overcome initial shock upon return, mitigated the challenges that they had to face and contributed to their smooth reintegration. However, they also spoke about the need to expand the project, soften the eligibility criteria, increase funding and allow the possibility to receive several types of assistance at the same time.

ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგების მიხედვით პროექტი მათ დაეხმარა პირველი შოკის დაძლევაში, პრობლემების შერბილებასა და რეინტეგრაციის პროცესის ადვილად წარმართვაში. თუმცა გამოთქმულია მოსაზრებები პროექტის გაფართოების, კრიტერიუმების შერბილების, დაფინანსების გაზრდისა და დახმარების რამდენიმე კომპონენტის ერთდროულად მიღების შესაძლებლობების თვალსაზრისით.

Focus on The IOM Mobility Centre in Kutaisi

Mamuka returned to Georgia in 2014 after two years in Greece, where he had worked as a farmhand for a Greek family. Back in his village Bardubani he started a small-scale agricultural venture but the income that this business generated was insufficient to support his large family. However, Mamuka no longer wanted to consider going abroad as an option and hoped that by using his past experience of poultry and live-stock farming he would be able to expand his business. With modest savings from his time abroad Mamuka started building his farm. As he already had some information about the reintegration programme from the flyer he received immediately upon his return to Georgia, Mamuka decided to visit the Mobility Centre in Kutaisi. Under the More for More project he received a business grant and purchased construction materials and technical equipment for his farm. The farm currently operates well and effectively maintains one thousand birds. Mamuka employs three people in his business, including one of his family members. He works closely with distribution networks and manages to successfully sell poultry across the Imereti region.

IOM-ის მობილურობის ცენტრი ქუთაისში

მამუკა 2014 წელს საქართველოში დაბრუნდა საბერძნეთში ორწლიანი მიგრაციის შემდეგ, სადაც ის ბერძენი ოჯახის ფერმაში დამხმარე მუშად მუშაობდა. მან საკუთარ სოფელში, ბარდუბანში, სასოფლო სამეურნეო საქმიანობით მცირე შემოსავალიც გაიჩინა. მაგრამ ეს არ იყო მისი დიდი ოჯახისთვის საკმარისი. მიუხედავად ამისა, მას კვლავ მიგრაციაზე ფიქრი არ სურდა და წარსული გამოცდილება მეფრინველეობასა და მესაქონლეობაში იმედს აძლევდა რომ ადრე თუ გვიან ამ ბიზნესს სერიოზულად წარმართავდა. მიგრაციაში დაგროვილი მცირე თანხით მამუკამ ფერმის მშენებლობა წამოიწყო. მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია დაბრუნებული მიგრანტებისთვის ხელმისაწვდომი სარეინტეგრაციო მხარდაჭერის შესახებ, რომელიც საქართველოში ჩამოსვლის დღეს ფლაერის სახით მიიღო და გადაწყვიტა ქუთაისის მობილურობის ცენტრისათვის მიემართა. მამუკამ გაიარა ყველა საჭირო პროცედურა და მიიღო ბიზნეს გრანტი მეფრინველეობის ფერმისათვის სამშენებლო მასალის, საჭირო ნივთების, ტექნიკის და დანადგარის შესაძენად. დღესდღეობით მეფრინველეობის ფერმა წარმატებით მუშაობს. ათასი სული ფრინველი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო პირობით. საკუთარ ბიზნესში მამუკას დასაქმებული ჰყავს სამი დამხმარე, მათ შორის ერთი ოჯახის წევრიც. ის აქტიურად თანამშრომლობს დისტრიბუტორებთან და ახერხებს ფრინველის წარმატებით რეალიზებას მთელი იმერეთის მასშტაბით.

„მიუხედავად ჩემი დიდი მონდომებისა და გამოცდილებისა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე მალე ჩემი ოჯახის შესანახად სტაბილური შემოსავლის წყარო გამიჩნდებოდა"

"Despite my committment and experience I could not have imagined that so soon I would have been able to generate a stable source of income to support my family."

Safe Migration

IOM's Mobility Centres provide potential migrants with up-to-date information on safe migration through their hotline service, individual consultations and community outreach meetings.

Through consultations and information available on IOM information webpage (www.informedmigration.ge) two cooks and several metal furniture specialists, drivers and construction workers managed to find employment abroad.

In the winter period IOM also visited villages in border areas before the start of seasonal agricultural work and disseminated information on regular migration and the risks of irregular migration, such as engaging in irregular work in the neighbouring countries of Georgia.

უსაფრთხო მიგრაცია

IOM-ის მობილურობის ცენტრებში პოტენციურ მიგრანტებს უსაფრთხო მიგრაციის შესახებ უახლესი, მიუკერძოებელი ინფორმაცია მიეწოდებათ სატელეფონო საუბრების, ცენტრში ინდივიდუალური კონსულტაციების და საჯარო საინფორმაციო შეხვერდების მეშვეობით.

კონსულტაციებისა და IOM-ის საინფორმაციო ვებგვერდის (www.informedmigration.ge) დახმარებით შეძლო საზღვარგარეთ დასაქმება ორმა მზარეულმა, რკინის ავეჯის ოსტატმა, რამდენიმე მძღოლმა და მშენებელმა.

ზამთარში, სოფლის მეურნეობაში სეზონური სამუშაოების დაწყებამდე, IOM ესტუმრა საზღვრისპირა მოსახლეობას და გაავრცელა ინფორმაცია კანონიერ მიგრაციაზე და უკანონო მიგრაციის რისკებზე, როგორებიცაა მეზობელ ქვეყნებში არალეგალური შრომითი სამუშაოს შესრულება.

IOM Mobility Centres | მობილურობის ცენტრები

Tbilisi | თბილისი

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

15 a Tamarashvili Street | თამარაშვილის ქ. 15 ა

5th floor, rooms 543, 545, 547 | **V** სართული, ოთახები 543, 545, 547

Reintegration issues | რეინტეგრაციის საკითხები

Tel.: +995 32 260 09 55; +995 577 43 46 44

E-mail: reintegrationgeorgia@iom.int

Safe migration| უსაფრთხო მიგრაცია

Tel.: +995 32 291 34 61; +995 577 41 43 12

E-mail: mrcgeorgia@iom.int

Telavi | თელავი

8 Erekle II Street | ერეკლე II ქ. 8

+995 350 27 08 72

E-mail: MCTelavi@iom.int

Kutaisi | ქუთაისი

63 Akaki Tsereteli Street | აკაკი წერეთლის 63

Tel.: +995 431 24 44 43

E-mail: MCKutaisi@iom.int

Batumi | ბათუმი

63 King Pharnavaz Street | ფარნავაზ მეფის ქ. 63

Tel.: +995 422 22 88 83

E-mail: MCBatumi@iom.int

Safe Migration Hotline | ცხელი ხაზი

+995 32 2 91 34 61

IOM Georgia Office in Tbilisi

19 Tengiz Abuladze Street
Tel.: +995 32 2 25 22 16
E-mail: iomtbilisi@iom.int

IOM თბილისის ოფისი

თენგიზ აბულაძის ქ. 19
ტელ.: +995 32 2 25 22 16
ელ. ფოსტა: iomtbilisi@iom.int

www.informedmigration.ge

This project is funded by the European Union
პროექტს აფინანსებს ევროკავშირი

This project is implemented by IOM
პროექტს ახორციელებს IOM